



# საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 12 იანვრის კრების ოქმით)

## შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე .....	3
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება.....	6
მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და განმახორციელებლები .....	8
მუხლი 5. გარდამავალი დებულებები: .....	9

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირი - ალტე უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესსა და პირობებს.
- 1.2. სასწავლო უნივერსიტეტის სახის შესაბამისად უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებს.
- 1.3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
- 1.4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 120 ECTS კრედიტს, მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის/ მკვლევრის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამაგისტრო პროგრამა ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.
- 1.5. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს არანაკლებ 300 ECTS კრედიტს (სტომატოლოგია) და 360 ECTS კრედიტს (მედიცინა).
- 1.6. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 ECTS კრედიტს და ამზადებს პირს მისთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა

### საფეხურზე

- 2.1. საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების / კონცენტრაციების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და სხვ. პროგრამაში შემავალი სხვადასხვა ასპექტი უნდა აღიწეროს მკაფიო, გასაგები ენით. *(დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი #14, 27.09.2022)*
- 2.2. საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭო, სკოლის საბჭოს წარდგინებით.
- 2.3. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე უნდა მიეთითოს:
  - ✓ ალტე უნივერსიტეტი (ქართულად და ინგლისურად);
  - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური;
  - ✓ პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ დირექტორთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების რეკვიზიტები.
- 2.4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) პროგრამის სახელწოდება;
  - ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური;
  - გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
  - დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
  - ე) სწავლების ენა;
  - ვ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
  - ზ) პროგრამის ხელმძღვანელი და/ან თანახელმძღვანელი;
  - თ) აქტუალობა და შესაბამისობა მისიასთან;

- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
  - კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
  - ლ) სწავლის შედეგი;
  - მ) დასაქმების სფერო;
  - ნ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
  - ო) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
  - პ) კურიკულუმი (სასწავლო გეგმა), სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
  - ჟ) პროგრამის განხორციელების რესურსები (ადამიანური და მატერიალური);
  - რ) პროგრამის მიზნების და შედეგების რუკა;
  - ს) პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების/მოდულების/კონცენტრაციების შედეგების რუკა და შეფასების პერიოდულობა;
  - ტ) პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
  - უ) პროგრამის ფინანსური რესურსი;
  - ფ) საერთაშორისო ანალოგებთან დადარების/გამოცდილების გაზიარების დოკუმენტი/ინფორმაცია;
  - ქ) პროგრამის შემმუშავებლები არ იზღუდებიან, ჰქონდეთ დამატებითი ან მოდიფიცირებული სტრუქტურა/ინფორმაცია.
- 2.5. პროგრამას თან უნდა ახლდეს სასწავლო კურსების/კომპონენტების პროგრამები (სილაბუსები);
- 2.6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერების შემდეგი კატეგორიებით:
- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
  - ბ) უნარი;
  - გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
- 2.7. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.
- 2.7.1. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:
- ა) სახელწოდება;
  - ბ) სტატუსი;
  - გ) სწავლების სემესტრი;
  - დ) რედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
  - ე) პრერეკვიზიტები (დაშვების წინაპირობები).
- 2.8. კურიკულუმში მითითებული არჩევითი კომპონენტების კრედიტების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევითი კომპონენტისთვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.
- 2.9. საგანმანათლებლო პროგრამას დართული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
- 2.10. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის სილაბუსში მიეთითება:
- ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;
  - ბ) საფეხური;
  - გ) პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

- დ) ავტორი და/ან განმახორციელებელი (თუ ავტორი და განმახორციელებელი ერთი და იგივე პირია, შესაძლებელია მიეთითოს ერთ-ერთი);
- ე) პრერეკვიზიტი;
- ვ) კურსის სტატუსი;
- ზ) სწავლების ენა;
- თ) სწავლების სემესტრი;
- ი) მოცულობა (ECTS) კრედიტებში;
- კ) კურსის ხანგრძლივობა;
- ლ) სწავლების მეთოდი;
- მ) საათების განაწილება;
- ნ) სასწავლო კურსის მიზნები;
- ო) სასწავლო კურსის შინაარსი;
- პ) სწავლის შედეგები;
- ჟ) სწავლება-სწავლის აქტივობები;
- რ) შეფასების სისტემა;
- ს) ზოგადი ინფორმაცია შეფასების შესახებ;
- ტ) შეფასების მეთოდები;
- უ) შეფასების კრიტერიუმები;
- ფ) ძირითადი (სასწავლო რესურსი) და დამხმარე ლიტერატურა;
- ქ) სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- ღ) სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
- ყ) გამოცდების პერიოდულობა;
- შ) პლაგიატის შესახებ ინფორმაცია;
- ჩ) კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია.

2.11. სასწავლო კურსის ავტორი და/ან განმახორციელებელი არ იზღუდება, სილაბუსში განათავსოს დამატებითი ინფორმაცია.

## 2.12 უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2.12.1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

- ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;
- ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;
- გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

2.12.2 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ აკრედიტებულ რეჟიმში.

2.12.3. საბაკალავრო პროგრამის თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების

განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

- 2.12.4. საბაკალავრო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/მოდულებს.
- 2.12.5 საბაკალავრო პროგრამის არქიტექტონიკა შესაძლებელია მოიცავდეს კონცენტრაცია/კონცენტრაციებს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით
- 2.12.6 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- 2.13. **უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**
- 2.13.1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სამაგისტრო ნაშრომს.
- 2.13.2 უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.
- 2.14. **უნივერსიტეტის რეგულირებადი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა:**
- 2.14.1. რეგულირებადი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.
- 2.15. **ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს ძირითადი სფეროს (ჯანდაცვა) სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს/მოდულებს და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. ასევე სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებით/მოდულებით წარმოდგენილ ზოგად და/ან თავისუფალ კომპონენტს. ასევე შესაძლებელია პროგრამა მოიცავდეს პრაქტიკის კომპონენტს.
- 2.16 60 კრედიტიანი პროგრამა, რომელიც დასრულების შემდეგ, სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას („ქართულ ენაში მომზადების პროგრამა“ და სხვ), უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს და იყოს 60 ECTS მოცულობის.
- 2.17 საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა (მოდულიცირება) შესაძლებელია სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

### **მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება**

- 3.1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება კლასიფიკატორით დადგენილ დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს

განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

- 3.2 პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარე - დარგის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პერსონალი და სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში), პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მხარეს შეაქვს თავისი წვლილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იყოს მიღწეული ისინი.
- 3.3 თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებსა და გადაწყვეტილებებზე. შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები/ინსტრუქციები და პროგრამების/სასწავლო კურსების წარდგენის ფორმები და სხვა.
- 3.4 პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მისიასთან. ის უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების და შრომის ბაზრის მოთხოვნებს (შრომის ბაზრის კვლევა უნდა მოიცავდეს მ. შ. შრომის ბაზარზე შესაბამის კადრებზე მოთხოვნის არსებობის/არარსებობის ანალიზს). პროგრამაში იმპლემენტირებულია საერთაშორისო გამოცდილება (რაც გამოვლინდება პროგრამების შედარებითი ანალიზის გზით). *(დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი #14, 27.09.2022)*
- 3.5 საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად. უზრუნველყოფს პროგრამის თავსებადობას დადგენილ სტანდარტებთან, საგანმანათლებლო პროგრამის (შესაბამისი დანართებით) დროულ წარდგენას ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტისადმი.
- 3.6 ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი იძლევა მეთოდურ მითითებებს პროგრამის/სილაბუსის შედგენასთან დაკავშირებით, ახორციელებს პროგრამის/კომპონენტების მონიტორინგს და ფორმალური შესაბამისობის დადგენას მოთხოვნებთან. თანამშრომლობს პროგრამის განმახორციელებლებთან/ხელმძღვანელებთან, აწარმოებს პროგრამაში ჩართულ პირებთან ინტენსიურ შეხვედრებს/ტრენინგებს. პროცესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს პროგრამის საბოლოო შემუშავების პერიოდს და ახდენს შესრულების მონიტორინგს.
- 3.7 ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება შეუძლია პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს და სკოლის დეკანს. პრეზიდენტი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის ხელმძღვანელს, შესაბამისი სკოლის ბაზაზე ქმნის პროგრამის კომიტეტს, რომლის მუშაობის კოორდინაციაც ევალება სკოლის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს, პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის მიერ გაწერილი ვადების გათვალისწინებით.
- 3.8 პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის პროექტს წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს.
- 3.9 სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამის ცვლილებების პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართებით და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, იგზავნება ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტში .

- 3.10 ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის (დანართების) შესახებ, რომელსაც წარუდგენს პრეზიდენტს/ვიცე პრეზიდენტს და სკოლის საბჭოს განსახილველად.
- 3.11 დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების თაობაზე დირექტორთა საბჭოსადმი. ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო აბრუნებს პროგრამის პაკეტს პროგრამის კომიტეტთან, მასში ცვლილებების შეტანის მიზნით.
- 3.12 დირექტორთა საბჭო საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს წარმოდგენილი სახით ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.
- 3.13 საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და განმახორციელებლები**

- 4.1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი და ქართულ ენაში მომზადების პროგრამების (შემდგომში – "პროგრამა") ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.
- 4.2. პროგრამის ხელმძღვანელი წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურის დაცვით:
- ა) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, განვითარებასა და საჭიროების შემთხვევაში, მასში შესატანი ცვლილებების ინიცირებას;
  - ბ) პროგრამის მოდიფიცირებისას ახდენს შედარება/დადარების ფორმის მომზადებას, მონაწილეობს შიდა/გარე მობილობის დასკვნების მომზადებაში;
  - გ) ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებასა და მდგრადობაზე (მათ შორის, უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსის მოძიებას, ასევე იდენტიფიცირებას აკეთებს მიმდინარე აკადემიური / მოწვეული პერსონალის განვითარების საჭიროებების);
  - დ) კოორდინირებას უწევს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პერსონალს შორის კომპონენტების განაწილებას და დეკანთან შეთანხმებით ანაწილებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სემესტრულ დატვირთვებს;
  - ე) საჭიროების შემთხვევაში, ესწრება პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სალექციო პროცესს, სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით;
  - ვ) სტუდენტებთან და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს;
  - ზ) უკუკავშირის მიღების მიზნით, აქტიურადაა ჩართულია უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისა და თანამშრომლების კითხვარების შემუშავებასა და განხორციელებულ კვლევებში;
  - თ) უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში კონფერენციების, შეხვედრების, საჯარო ლექციებისა და სხვა საგანმანათლებლო და კვლევითი ხასიათის აქტივობების ორგანიზება-განხორციელებას დეკანთან შეთანხმებით;
  - ი) ზრუნავს პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის/პრაქტიკული/კვლევითი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განვითარებაზე;
  - კ) უზრუნველყოფს ავტორიზაცია - აკრედიტაციის საჭირო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მომზადებასა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის მიწოდებას;



- ლ) პროგრამის განვითარების მიზნით უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას სამუშაო პროცესში;
- მ) ზედამხედველობს პროგრამის სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის პროცესს, კონსულტაციას უწევს პროგრამის სტუდენტებს სასწავლო კომპონენტების არჩევის პროცესში;
- ნ) ეხმარება გაცვლითი პროგრამის მიზნებისათვის შერჩეულ სტუდენტს მასპინძელ უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების შერჩევაში სტუდენტის გამგზავრებამდე და გამგზავრების შემდეგ;
- ო) საჭიროების შემთხვევაში, ერთვება აბიტურიენტების მოზიდვის პროცესში - საგანმანათლებლო ღონისძიებებს ატარებს სფეროს მნიშვნელობასა და საჭიროებაზე;
- პ) ამუშავებს კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაციას დიპლომის მომზადების მიზნით;
- ჟ) მონიტორინგს უწევს ლექტორის მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადების პროცესს და წარუდგენს ინფორმაციას სკოლის ადმინისტრაციას.
- რ) საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომებისადმი წაყენებული ფორმალური მოთხოვნების სტუდენტებისათვის და ნაშრომების ხელმძღვანელებისათვის გაცნობა და მათი შესრულების მონიტორინგი სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. *(დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი #14, 27.09.2022)*

4.3 პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, რომელიც ასევე აკმაყოფილებს პროგრამის ხელმძღვანელისათვის დადგენილ მოთხოვნებს და ეხმარება ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

**4.4. პროგრამის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის მიმართ დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/ პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალი;
  - ბ) განათლების სფეროში მუშაობის (მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა), ან პროფესიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
  - გ) ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე (ინგლისურენოვანი პროგრამისათვის).
- 4.5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი - პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, ასისტენტები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი; სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
- 4.6 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად პრეზიდენტი ბრძანებით ქმნის თვითშეფასების ჯგუფს.

**მუხლი 5. გარდამავალი დებულებები**

- 5.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები ხელმძღვანელობენ წინამდებარე წესით და პროგრამის შემუშავების მომენტისთვის უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი აქტებით.
- 5.2 წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ.

